

დანართი 2

ინფორმაცია სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს (რადიოს ნაწილში) 2016-2017 წლების პროგრამული პრიორიტეტების განსაზღვრასთან დაკავშირებით საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შესახებ

(ცნობა საჯარო განხილვისათვის დოკუმენტების წარდგენის შესახებ)

ადმინისტრაციული ორგანო, რომელშიც მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება და მისმართი - სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“ (მის: ქ. ბათუმი მ. აბაშიძის ქ. N41).

ადმინისტრაციული ორგანო, სადაც შესაძლებელია ადმინისტრაციული წარმოების მასალების გაცნობა - სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“ (მის: ქ. ბათუმი მ. აბაშიძის ქ. N41).

ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“-ს მრჩეველთა საბჭოს გადაწყვეტილების მოკლე შინაარსი - სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“-ს პროგრამული პრიორიტეტები (რადიოს ნაწილში).

ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის მომზადებისა და მიღების ვადა - 15 ივლისი.

დაინტერესებული პირი საკუთარი მოსაზრების წარდგენისას უფლებამოსილია არ მიუთითოს თავისი ვინაობა. მოსაზრება შესაძლებელია ასევე მოწოდებული იქნას შემდეგ ელექტრონული მისამართის მეშვეობით: mrcheveltasabcho@mail.com

იხილეთ პროგრამული პრიორიტეტების შესახებ პროექტი.